



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

www.ozurgeti.gov.ge

ქ. ოზურგეთი

N 28
15/05/2017

28-03-4-201705151928



განკარგულება №28
15 მაისი 2017 წელი

„ქალაქ ოზურგეთში, მალაზონიას ქუჩაზე მდებარე 12 065 კვ/მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.26.54.059) ჩუქების ფორმით, სსიპ თვითმმართველი ქალაქი - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღებისა (ს/კ 237113850) და მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირებაზე“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლი 2-ე ნაწილის, 111-ე მუხლის „გ“ და „დ“ პუნქტების და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს 524-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. თანხმობა მიეცეს, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად, უსასყიდლოდ, ჩუქების ფორმით მიიღოს (მისი შემდგომში გასხვისების აკრძალვის პირობით) და მუნიციპალიტეტის საკუთრებად დაარეგისტრიროს, მჩუქებელის - ლევან სვამკოჩაიშვილის საკუთრებაში არსებული ქონება - ქალაქ ოზურგეთში, მალაზონიას ქუჩაზე მდებარე 12 065 კვ/მ

ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 26.26.54.059).

მუხლი 2. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა